

საერთაშორისო ეკონომიკა III, IV კურსი
(ეკონომიკა, სამართალი და საერთაშორისო ურთიერთობები)
I, II სემესტრი. 2018-2019 წელი

შუალედური გამოცდის ნიმუში

Question 1

შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგად ეკონომიკის რომელი ტიპები ჩამოყალიბდა?

Select one:

- a. მესაქონლეობითი
- b. მიწათმოქმედებითი
- c. სამრეწველო
- d. ყველა ჩამოთვლილი

Question 2

დღეისათვის შრომის საერთაშორისო დანაწილებაში როგორი ბაზრის შექმნის ტენდენცია შეინიშნება?

Select one:

- a. პლანეტარული ბაზრის
- b. საფინანსო ბაზრის
- c. შრომისა და კაპიტალის ბაზრის
- d. საქონლის ბაზრის

Question 3

მშპ-ს რა ნაწილი უნდა დახარჯოს ქვეყანამ საკუთარი ბუნების დაცვაზე?

Select one:

- a. 3 %
- b. 5 %
- c. 2 %
- d. 1 %

Question 4

რას ემყარება საერთაშორისო ვაჭრობა?

Select one:

- a. ურთიერთსარგებლიანობის პრინციპსა და შრომის საერთაშორისო დანაწილებას
- b. საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობას
- c. ქვეყანათა ეკონომიკურ განვითარებას
- d. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობას

Question 5

აღამ სმითი ქვეყნებს შორის როგორი სახის ურთიერთობას ქადაგებდა?

Select one:

- a. ინვესტიციების შემოდინების
- b. დაბალ საბაჟო და სატარიფო გადასახადების დაწესების
- c. მაღალი საბაჟო და სატარიფო გადასახადების დაწესების
- d. თავისუფალი ვაჭრობის

Question 6

„გლობალური სტრატეგიული კონკურენციის თეორიის“ თანახმად, რის საფუძველზე იღებს კომპანია დამატებით უპირატესობას?

Select one:

- a. მარკეტინგული სტრატეგიით
- b. წარმოების მასშტაბის გადიდებით და პროდუქციის დივერსიფიკაციით
- c. პროდუქციის ვაჭრობით
- d. მართვის პროგრესული მეთოდების დანერგვით

Question 7

საერთაშორისო ვაჭრობის ობიექტია

Select one:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. მატერიალური ნივთები
- c. მომსახურება
- d. ინტელექტუალური საკუთრება

Question 8

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებაზე არ მოქმედებს:

Select one:

- a. მსოფლიო ბაზარზე ტნკ-ის საქმიანობის გააქტიურება
- b. საავტორო უფლებების გადაცემა
- c. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება
- d. სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის გამდიერება

Question 9

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი პრინციპი არ არის:

Select one:

- a. პრეფერენციის პრინციპი
- b. არადისკრიმინაციის პრინციპი

- c. უპირატესი ხელშეწყობის პრინციპი
- d. `ახალი ინდუსტრიული ქვეყნების` ვაჭრობის სრულყოფის პრინციპი

Question 10

რამდენი სახის კაპიტალი არსებობს?

Select one:

- a. ოთხი სახის
- b. ხუთი სახის
- c. სამი სახის
- d. ორი სახის

Question 11

მოქმედების ვადის მიხედვით კაპიტალური დაბანდებების კლასიფიკაცია არის:

Select one:

- a. სახელმწიფო და კერძო
- b. მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი
- c. სამეწარმეო და სასესხო
- d. პირდაპირი და პორტფელური

Question 12

რომელია მსოფლიო ბანკის მიერ მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით?

Select one:

- a. ყველა პასუხი სწორია
- b. დონორი ქვეყნებისადმი არადისკრიმინაციული მიდგომა
- c. უცხოური ინვესტიციებისთვის ეროვნული რეჟიმის მინიჭება
- d. შეზღუდვების მინიმუმაცია და კომპენსაციის გარეშე ნაციონალიზაციის დაუმშვებლობა

Question 13

რომელი განმარტებაა მართებული? ემიგრაცია არის:

Select one:

- a. ადამიანების იძულებითი ან ნებაყოფლობითი გადასახლება თავისი სამშობლოდან სხვა ქვეყანაში
- b. ადამიანების გადაადგილება ეროვნული ქვეყნის შიგნით
- c. უცხო ქვეყნიდან საკუთარ სამშობლოში ადამიანების დაბრუნება
- d. უცხო ქვეყანაში ადამიანების ტურისტული მოგზაურობა

Question 14

სამუშაო ძალის იმპორტიორ ქვეყანაში იმიგრაციის დადებითი შედეგი არ არის:

Select one:

- a. განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესება
- b. საქონელზე ახალი მოთხოვნების წარმოშობა
- c. მიმღებ ქვეყანაში სოციალური დამაბულობის წარმოშობა
- d. წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება

Question 15

საერთაშორისო ეკონომიკური სამართლის წყაროებია:

Select one:

- a. ეკონომიკურ-ჰუმანიტარული დახმარების შესახებ
- b. ყველა პასუხი სწორია
- c. ხელშეკრულებები უსასყიდლო დახმარების შესახებ
- d. საერთაშორისო ხელშეკრულებები ეკონომიკური, სამრეწველო და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ

Question 16

გლობალიზაციის პროცესის დაჩქარება, შესაძლებელია:

Select one:

- a. ორმხრივ შეთანხმებათა რაოდენობის შემცირებით.
- b. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გამოყენებით.
- c. საზღვარგარეთ ინტელექტუალური საკუთრების ირიბი დაცვით.
- d. დაზღვევის ეფექტური სქემების შემუშავებით.

Question 17

ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების საერთაშორისო გაცვლა არ ხორციელდება:

Select one:

- a. ფინანსური მექანიზმებით.
- b. ინსტიტუციური მექანიზმებით.
- c. სამართლებრივი მექანიზმებით.
- d. ეკოლოგიური მექანიზმებით.

Question 18

აბრევიატურა C2C ნიშნავს:

Select one:

- a. ინტერნეტით ფირმების ურთიერთკავშირს.
- b. ინტერნეტით ფირმის კავშირს მომხმარებელთან.

- c. ინტერნეტით მომხმარებლების ურთიერთკავშირს.
- d. ინტერნეტით მომხმარებლის კავშირს ფირმასთან.

Question 19

ლიცენზია არის:

Select one:

- a. პატენტის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას.
- b. მანქანა-მოწყობილობების, კომპიუტერული ტექნიკის და სხვათა გრძელვადიანი იჯარა.
- c. ნებართვა რაიმე საქმიანობის გარკვეულ საზღვრებში განსახორციელებლად.
- d. ხელშეკრულებითი ურთიერთობა, რომლითაც საწარმოები ხელს უწყობენ საქონლის წარმოებასა და გასაღებას.

Question 20

რა შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს კერძო ლიცენზიის გამცემის მიერ ლიცენზიის მიმღების მიმართ?

Select one or more:

- a. ლიცენზიარისაგან ნედლეულის შესყიდვის ვალდებულება.
- b. ლიცენზიის დამალვა.
- c. ლიცენზიის განსაზღვრულ ტერიტორიაზე გამოყენება.
- d. ლიცენზიის განადგურება.

Question 21

ლიზინგის მიმღების ვალდებულება არ არის:

Select one:

- a. მესაკუთრესთან შეთანხმებით, ქველიზინგით გადასცეს ლიზინგური ქონება.
- b. დაიცვას ლიზინგის ობიექტის ექსპლუატაციის ინსტრუქცია.
- c. გამოიყენოს ლიზინგის ობიექტი მეწარმეობითი საქმიანობისათვის.
- d. მიიღოს ლიზინგის ობიექტი.

Question 22

ეკონომიკური ინტეგრაცია არის :

Select one:

- a. ეროვნული მეურნეობების დაახლოების ხელოვნური პროცესი.
- b. ეროვნული მეურნეობების დაახლოების ნებაყოფლობითი პროცესი.
- c. ეროვნული მეურნეობების დაახლოების იძულებითი პროცესი.
- d. ეროვნული მეურნეობების დაახლოების ბუნებრივი პროცესი.

Question 23

რომელ ქვეყნებშია უმეტესად გავრცელებული კათოლიკური მიმდინარეობა?

Select one:

- a. საქართველო, რუსეთი, ბელარუსი.
- b. ისრაელი, თურქეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები.
- c. იტალია, საფრანგეთი, პორტუგალია.
- d. გერმანია, ნიდერლანდი, დიდი ბრიტანეთი.

Question 24

ევროკავშირის კონკურენციის პოლიტიკის მიზანია:

Select one:

- a. პროდუქციის სარეალიზაციო ფასების შემცირება.
- b. ინდუსტრიის განახლება-მოდერნიზაცია.
- c. თავისუფალ ბაზარზე დაფუძნებული ევროპის ეკონომიკური ზონის ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა.
- d. სოფლის მეურნეობის პროდუქციის ფართო რეკლამირება.